საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-29/ნ

2022 წლის 7 აპრილი

ქ. თბილისი

,,სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების და ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა ტრანსპორტირებისათვის მინიმალური მოთხოვნების და პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის №01-17/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

,,სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების და ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა ტრანსპორტირებისათვის მინიმალური მოთხოვნების და პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის №01-17/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 03/04/2012, 470200000.22.035.016135) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილების, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 დეკემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის ,,ა“ და ,,ვ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:“.

2. პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 (სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების ნუსხა), №2 (სასწრაფო დახმარების ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხა) და №3 (მინიმალური მოთხოვნები კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა ტრანსპორტირებისათვი) დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს „1^1“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1^1. დანართებში მითითებული მედიკამენტების შესაბამისი დოზით ბაზარზე ხელმისაწვდომობის არარსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნეს ბრძანებით დამტკიცებული მედიკამენტის დოზა, განსხვავებული დოზით ამპულების/აბების/ფლაკონების/ბალონების შესაბამისი ჯერადობით რაოდენობის ზრდის საშუალებით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,

ზურაბ აზარაშვილი